

THE ECONOMIC EFFECT OF LARIZATION AND ITS IMPACT ON FINANCIAL STABILITY IN GEORGIA

ლარიზაციის ეკონომიკური ეფექტი და მისი გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე
საქართველოში

David Tchiotashvili

Doctor of Economics, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
tchiotashvili@gmail.com

(+995) 599509067

ORCID-0000-0002-2500-6252

Khaliana Chitadze

Doctor of Economics, Assoc. Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
chitadze.xaliana@gmail.com

ORCID-0000-0001-6795-9484

Abstract

Larization is a key concept that involves the creation of an economic, financial and social spectrum, and is based on the traditional principles of economic growth and the social interests of society. In the context of globalization, significant reforms in Georgia in recent decades have led to significant economic progress for the country, however, the process of Larization for the country still faces many challenges, which are important not only at the national but also at the global level.

The paper discusses the economic effect of Larization in Georgia and its impact on the country's financial stability and the main challenges that accompany this process. The aim of the paper is to analyze the effective steps taken towards sustainable Larization and the main processes that contribute to the effective development of the country, financial stability and social impact.

Keywords: Larization; Larization effect; Financial stability; Economic effect; Social effect.

დავით ჭიოტაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

tchiotashvili@gmail.com

ORCID-0000-0002-2500-6252

ხალიანა ჩიტაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი

chitadze.xaliana@gmail.com

ORCID-0000-0001-6795-9484

აბსტრაქტი

ლარიზაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კონცეფციას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალური სპექტრის შექმნას, და დაფუძნებულია ტრადიციული ეკონომიკური ზრდის პრინციპებზე და საზოგადოების სოციალურ ინტერესებზე. გლობალიზაციის პირობებში, საქართველოში ბოლო ათწლეულებში მომხდარმა მნიშვნელოვანმა რეფორმებმა გამოიწვია ქვეყანის საგრძნობი ეკონომიკური წინსვლა, თუმცა ქვეყნისთვის ლარიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ დონეზე.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ლარიზაციის ეკონომიკური ეფექტი და მისი გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე და ძირითადი გამოწვევები, რომლებიც თანსდევს ამ პროცესს. ნაშრომის მიზანია მდგრადი ლარიზაციისკენ გადადგმული ეფექტური ნაბიჯების და ძირითადი პროცესების ანალიზი, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის ეფექტურ განვითარებას, ფინანსურ სტაბილურობას და სოციალურ ეფექტს.

საკვანძო სიტყვები: ლარიზაცია; ლარიზაციის ეფექტი; ფინანსური სტაბილურობა; ეკონომიკური ეფექტი; სოციალური ეფექტი.

შესავალი

ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოში. გრძელვადიანი უსაფრთხო ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, წარმოუდგენელია მდგრადი ლარიზაციის პროცესის გარეშე, სადაც მთავარ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური და ფინანსური სტრატეგიები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მოთხოვნებს. ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის, ასევე საქართველოს ეროვნული ვალუტა (ლარი) ერთერთი ყველაზე მოწყვლადი რგოლია ქვეყნის ეკონომიკაში და ფინანსებში, რომელიც საკუთარ თავზე იღებს საგარეო და საშინაო ეკონომიკურ რყევებს. მდგრადი ლარიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ისეთი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური კონცეფციების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს. ლარიზაციის

კონცეფცია პირველ რიგში ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობას და სოციალურ თანასწორობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა რეფორმებმა და პროგრესმა გამოიწვია ქვეყნის მრავალმხრივი განვითარება, მდგრადი ლარიზაცია ჯერ კიდევ გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოს ისტორიული და გეოპოლიტიკური კონტექსტი, ეკონომიკური ფაქტორები და სოციალური და კულტურული მახასიათებლები, ქმნიან გარკვეულ გამოწვევებს და სირთულეებს, რომლებიც აუცილებელად გასათვალისწინებელია ლარიზაციის პროცესში.

საქართველოს ეკონომიკა განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს მიჰყვება, თუმცა ქვეყანა კვლავაც განიცდის მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორცაა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რესურსების არასწორი გამოყენება და ეკონომიკური აქტივობების არასტაბილურობა. ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული ტრადიციულ სექტორებზე, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგრადი ლარიზაციის გზაზე წარმატების მიღწევას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტა ერთერთი ყველაზე მოწყვლადი რგოლია ქვეყნის ეკონომიკაში და ფინანსებში, რომელიც საკუთარ თავზე იღებს საგარეო და საშინაო ეკონომიკურ შოკებს, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის ინდიკატორი.

განხილვა და დისკუსია

ლარიზაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ დონეზე. გლობალიზაციის პროცესის განვითარების ფონზე, ქვეყნები სულ უფრო დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, რის გამოც ლარიზაციის პროცესი აუცილებელია ქვეყნის სტაბილურობისთვის. მდგრადი ლარიზაციის იდეა გლობალურ დონეზე მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ფორუმების მნიშვნელოვან როლს, რომლებიც ადგენენ სტანდარტებს და ხელს უწყობენ მდგრადი განვითარების წესების დანერგვას.

ლარიზაციის პროცესი პირდაპირ უკავშირდება მდგრადი განვითარების სტრატეგიას და მოიცავს ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ სტრატეგიებს, რომელიც აქცენტს აკეთებს ქვეყნის და საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, თუმცა მისი ძირითადი მიზანი არის ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური სტაბილურობა.

ლარიზაცია მოიცავს რამდენიმე ძირითად კომპონენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის განვითარების მდგრადობას. თითოეული კომპონენტი არის ნაზავი სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორებისა, რომლებიც საჭიროა ქვეყანაში სტაბილური და გრძელვადიანი პროგრესის მისაღწევად.

- ეკონომიკური მდგრადობა;
- ფინანსური მდგრადობა;
- სოციალური მდგრადობა.

ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა გამოიხატება ისეთი ეკონომიკური მოდელის შექმნაში, რომელიც არ არის დამოკიდებული მხოლოდ მკაცრ ფინანსურ ზრდაზე, არამედ მოიცავს ისეთი სექტორების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიან სტაბილურობას და წარმოების სისტემის დივერსიფიკაციას და მოიცავს არა მხოლოდ კლასიკურ ეკონომიკურ და ფინანსურ აქტივობებს, არამედ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, განახლებად ენერჯიას, ციფრულ ეკონომიკას და სხვა. სოციალური მდგრადობა, თავის მხრივ გულისხმობს ისეთი სოციალური სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას, თანასწორობას და ცხოვრებას ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოების ყველა ფენის თანასწორ შესაძლებლობებს. მდგარი ლარიზაციის პროცესში სოციალური ინკლუზიურობის უზრუნველყოფა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური და ფინანსური ზრდა. მდგრადი ლარიზაციის ფარგლებში აუცილებელია, რომ ნებისმიერმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა ცვლილებებმა არა მარტო არ გამოიწვიოს სოციალური უთანასწორობების ზრდა, არამედ მოახდინოს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი ლარიზაციის წარმატება, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის გარდა, დამოკიდებულია საზოგადოების აქტიურ მონაწილეობაზე, რათა შედეგი იყოს კიდევ უფრო ჰარმონიული და სამართლიანი. მდგრადი ლარიზაციის პროცესში უნდა ხორციელდებოდეს გრძელვადიანი ხედვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის, ფინანსების და სოციალური სისტემები პასუხობდეს დღევანდელ მოლოდინებს და მიზნებს.

ლარიზაცია საქართველოში, მიუხედავად ზოგადი მიდგომებისა და საერთაშორისო რეკომენდაციებისა, კვლავ გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები, როგორც ეკონომიკური და ფინანსური, ისე სოციალური ხასიათისაა. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლარიზაციის პროცესზე, პირდაპირ უკავშირდებიან საქართველოს სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ისტორიულ კონტექსტს და გეოპოლიტიკურ გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა და პოლიტიკური სისტემა განვითარების გზაზე დგას, მდგრადი ლარიზაციის განხორციელება, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, გარკვეულ სირთულეებს აწყდება, რომლებსაც გადალახვა და ეფექტური პოლიტიკის შემუშავება სჭირდება. მთავარი გამოწვევები, რომელთა წინაშე დგას საქართველო მდგრადი ლარიზაციის გზაზე არის:

- ეკონომიკური და ფინანსური გამოწვევები;
- სოციალური გამოწვევები;
- პოლიტიკური და ინსტიტუციური გამოწვევები.

ეკონომიკური და ფინანსური გამოწვევებიდან აღსანიშნავია, საქართველოს ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულება ტრადიციულ სექტორებზე და შედარებით დაბალი ინვესტიციები და ნაკლები ეკონომიკური სტაბილურობა.

საქართველო მაინც მაღალი ხარისხით არის დამოკიდებული ტრადიციულ სექტორებზე, კერძოდ, სოფლის მეურნეობასა და ბუნებრივი რესურსების მომპოვებელ ინდუსტრიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სექტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში, მათი განვითარება ხშირად არ შეესაბამება მდგრადი

ლარიზაციის პრინციპებს. ასევე განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორები, პერიოდულად განიცდის ეკონომიკურ წნეხს და არასტაბილურობას. მიუხედავად იმისა, რომ არის საგრძნობი ეკონომიკური ზრდა და მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც საჭიროა მდგრადი ლარიზაციისთვის, ეს ხშირად არ არის საკმარისი. ქვეყნის ფინანსური ბაზრის სისუსტე, სესხის მაღალი პროცენტული განაკვეთი და ინვესტიციების არასტაბილურობა, დიდი გამოწვევაა და ხელს არ უწყობს ისეთი ინოვაციური ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რაც თავის მხრივ ლარიზაციის დიდი წინაპირობაა.

სოციალური გამოწვევებიდან აღსანიშნავია:

- სოციალური უთანასწორობა და არათანაბარი განვითარების დონე;
- შესაბამისი განათლების და უნარების დეფიციტი;
- მოსახლეობის დაბალი ჩართულობა.

საქართველოში კვლავ დიდია სოციალური უთანასწორობა და მდგრადი ლარიზაციის პროცესში შეიძლება ის მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდეს. ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში და მასშტაბურ სასოფლო დასახლებებში, ისევ მრავლად არის სერიოზულ სოციალური და ეკონომიკური პრობლემები და დაბალი ცხოვრების ხარისხი. ეს პრობლემები ქმნის საფრთხეს, რომ მდგრადი ლარიზაცია ვერ დააბალანსებს ქვეყნის განვითარების ყველა ასპექტს. იმისთვის, რომ მდგარი განვითარება იქნეს მიღწეული მთელ ქვეყანაში, უნდა მოიძებნოს გზები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ თანასწორობას და მოსახლეობის ყველა ფენის და სოციალური სტატუსის განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს.

მდგრადი ლარიზაციის პროცესის წარმატებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყნის მოსახლეობამ შეიძინოს და განავითაროს ახალი უნარები და ცოდნა, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური გამოწვევების გადაჭრისკენ. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემაში არსებული რეფორმები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულა, ბევრ სფეროში საჭიროა კვალიფიციური კადრების მომზადება და სრულყოფილი ცოდნის და უნარების შეძენა, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადი ლარიზაციის პროცესს. რაც განსაკუთრებით აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორების სპეციალისტების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მზაობისათვის მომზადება.

მდგრადი ლარიზაციის პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართულობა აუცილებელია, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს და კერძო სექტორის ძალისხმევა არ არის საკმარისი. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბევრი პრობლემები, მოსახლეობის ჩართულობა და ცნობიერება არ არის იმდენად მაღალი, რომ ადეკვატურად იყოს გადაწყვეტილი მდგრადი ლარიზაციის გამოწვევები. აუცილებელია სოციალური მედიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ადამიანების ჩართვა სხვადასხვა საჭირო აქტივობებში.

პოლიტიკური და ინსტიტუციური გამოწვევებიდან ღსანიშნავია, პოლიტიკური და ინსტიტუციური გამოწვევები და რეგიონული უთანასწორობა და არასამეწარმეო მიდგომები.

მდგრადი ღარიზაციისთვის საქართველოში არსებული გამოწვევების მიუხედავად, ქვეყანაში არსებობს მრავალი შესაძლებლობა და ინიციატივები, რომლებიც შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალი მდგრადი განვითარების გზაზე. ამ პერსპექტივებზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული რესურსების, არამედ ახალი იდეების, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ქვეყნის განვითარებას ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური სტანდარტების დაცვით. ღარიზაციის პროცესის წარმატება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ახალ იდეებზე, რეფორმებზე და ტექნოლოგიურ ინოვაციებზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი მდგრადი ღარიზაციის კონცეპცია და პოლიტიკა იყოს სინქრონიზებული საერთაშორისო სტანდარტებთან, რისთვისაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და წარმატებული საერთაშორისო სტანდარტების და მოდელების ადაპტირება.

ეკონომიკური და ფინანსური განათლება და სოციალური პასუხისმგებლობა მდგრადი ღარიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, რაც თავის მხრივ იწვევს საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას და ცნობიერების დონის ამაღლებას. საქართველოში საჭიროა უფრო მეტი საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამების დანერგვა, რომლებიც ზრდის მოქალაქეთა პასუხისმგებლობას, ეკოლოგიური განათლების გაძლიერებას, საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვნად გაამყარებს საქართველოს მდგრადი ღარიზაციისთვის საჭირო პირობებს. მდგრადი ღარიზაციის პირობებში ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებების მოსალოდნელი ეფექტი და შედეგები შეიძლება ასე გამოვსახოთ: ცხრილი 1

მდგრადი ღარიზაციის პირობებში ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებების მოსალოდნელი ეფექტი და შედეგები

ცხრილი 1

ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებები	მოსალოდნელი შედეგები
ეკონომიკური ზრდა (GDP)	3%-5% წლიური ზრდა ეკონომიკაში
სოფლის მეურნეობის ეფექტურობის ზრდა	\$100-150 მილიონი აშშ დოლარი დამატებითი შემოსავალი ორგანული წარმოებიდან
ტურიზმის სექტორის ეკონომიკური ეფექტი	10%-20% ზრდა შემოსავლებში ეკოტურიზმის სექტორში
ენერგოეფექტურობის ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში	\$200-300 მილიონი აშშ დოლარი ინვესტიციები ენერგოეფექტურობის პროექტებში
სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა	\$50-100 მილიონი აშშ დოლარი წლიური ზრდა ინფრასტრუქტურული პროექტებიდან
სოციალური კეთილდღეობა და დასაქმება	5,000-10,000 ახალი დასაქმება სხვადასხვა სექტორში

დასკვნა და რეკომენდაციები

ლარიზაციის მიზანი საქართველოში არის ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური გამოწვევების გააზრება და მათი გადაჭრის გზების შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მდგრადი ლარიზაციის გზაზე არსებობს მრავალი გამოწვევა, ამ პროცესის წარმატებული განხორციელება შესაძლებელი იქნება, ქვეყანის ზუსტი და თანმიმდევრული სტრატეგიებით, რომელიც გაწერილია კონკრეტულ და რეალურ ინიციატივებში.

საქართველოში მდგრადი ლარიზაციის წარმატებით განხორციელება, ფოკუსირდება გლობალური თანამშრომლობის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და წარმატებული საერთაშორისო სტანდარტების და მოდელების ადაპტირებაზე, რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე. მდგრადი ლარიზაციის პროცესი მოითხოვს არაერთი მხარის ერთობლივ მუშაობას, და ამ გზაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ზოგადად საზოგადოებას. მდგრადი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა, ახალი იდეების, ინოვაციების და საზოგადოების გონივრული ჩართულობა, ყოველთვის იქნება ძირითადი ფაქტორები, რომლითაც შესაძლებელი გახდება გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური მომავლის შექმნა. მდგრადი ლარიზაციის პერსპექტივები საქართველოში მოიცავს მრავალ შესაძლებლობას და ინოვაციურ იდეებს, რომლებიც დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციას და საზოგადოების კეთილდღეობას. ახალი ინვესტიციების მიმართულება სწორედ იმ სფეროებში, სადაც საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები აქვს, გახდის ლარიზაციის პროცესს უფრო წარმატებულს და ხანგრძლივს. ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური გამოწვევების გადალახვა მოითხოვს გარკვეულ რეფორმებს, ინვესტიციების ზრდას და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი გრძელვადიანი მდგრადი ლარიზაციის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

- საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). *სტაბილურობა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება: საქართველოს საფინანსო ბაზრის ტენდენციები და პროგნოზები*. საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://www.nbg.gov.ge>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა: 2023 წლის ანგარიში*. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge>
- World Bank. (2023). *Georgia Country Partnership Framework: 2021–2025*. World Bank. <https://www.worldbank.org>
- IMF (International Monetary Fund). (2023). *Georgia: 2023 Article IV Consultation Report*. International Monetary Fund. <https://www.imf.org>
- Georgian Financial Sector Development Strategy. (2021). *Challenges and Opportunities for Sustainable Growth*. Ministry of Finance of Georgia.

- IMF (International Monetary Fund). (2022). *The Role of Exchange Rate Stability in Emerging Markets: Case Study of Georgia*. IMF Working Paper Series. <https://www.imf.org>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). *Georgia's Energy Sector: Current Challenges and Future Perspectives*. Ministry of Economy and Sustainable Development. <https://www.economy.ge>
- European Central Bank. (2022). *Monetary Policy and De-dollarization in Emerging Economies: A Case Study of Georgia*. European Central Bank Research Papers. <https://www.ecb.europa.eu>
- OECD (Organization for Economic Co-operation and Development). (2022). *Economic Outlook for Emerging Economies: Focus on Georgia and the Caucasus Region*. OECD Publishing. <https://www.oecd.org>
- Ministry of Finance of Georgia. www.mof.gov.ge

REFERENCES

- sakartvelos erovnuli bank'i. (2023). st'abiluroba da grdzelvadiani ek'onomik'uri ganvitareba: sakartvelos sapinanso bazris t'endentsiebi da p'rognozebi. sakartvelos erovnuli bank'i. <https://www.nbg.gov.ge>
- sakartvelos st'at'ist'ik'is erovnuli samsakhuri. (2024). sakartvelos ek'onomik'uri mimokhilva: 2023 ts'lis angarishi. st'at'ist'ik'is erovnuli samsakhuri. <https://www.geostat.ge>
- World Bank. (2023). *Georgia Country Partnership Framework: 2021–2025*. World Bank. <https://www.worldbank.org>
- IMF (International Monetary Fund). (2023). *Georgia: 2023 Article IV Consultation Report*. International Monetary Fund. <https://www.imf.org>
- Georgian Financial Sector Development Strategy. (2021). *Challenges and Opportunities for Sustainable Growth*. Ministry of Finance of Georgia.
- IMF (International Monetary Fund). (2022). *The Role of Exchange Rate Stability in Emerging Markets: Case Study of Georgia*. IMF Working Paper Series. <https://www.imf.org>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). *Georgia's Energy Sector: Current Challenges and Future Perspectives*. Ministry of Economy and Sustainable Development. <https://www.economy.ge>
- European Central Bank. (2022). *Monetary Policy and De-dollarization in Emerging Economies: A Case Study of Georgia*. European Central Bank Research Papers. <https://www.ecb.europa.eu>
- OECD (Organization for Economic Co-operation and Development). (2022). *Economic Outlook for Emerging Economies: Focus on Georgia and the Caucasus Region*. OECD Publishing. <https://www.oecd.org>
- Ministry of Finance of Georgia. www.mof.gov.ge